სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის
20 აპრილის N 61/01-01 ბრძანების

დანართი N2

# იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ქართველოლოგიის დარგში სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულება

## მუხლი 1. დებულების მიზანი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომ - ,,უნივერსიტეტი“) იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ქართველოლოგიის დარგში სამეცნიერო კონფერენციის (ტექსტში შემდგომ - ,,კონფერენცია“) ჩატარების დებულების მიზანს წარმოადგენს ქართველოლოგიური დარგების შემდგომი განვითარების ხელშეწყობისათვის (ქართული ენა, საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა, ქართულ სიძველეთა კვლევა და არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ქართული ლიტერატურათმცოდნეობა, საქართველოს ეთნოგრაფია და ფოლკლორი, ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორია და მსოფლმხედველობის საფუძვლები, ქართველოლოგიური ბაზების ტექნოლოგიური უზრუნველყოფა, ქართული პედაგოგიური აზროვნება) კონფერენციის ჩატარების პირობებისა და პროცედურების განსაზღვრა.

## მუხლი 2. კონფერენციის ჩატარების ფორმატი და პროცედურა

1. კონფერენცია ჩატარდება უნივერსიტეტში 2 წელიწადში ერთხელ, საკონფერენციო წლის 27 ოქტომბერს (იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეს).
2. პირველი კონფერენცია ჩატარდება 2015 წელს.
3. კონფერენციაში მონაწილეობის მიღების მიზნით დოკუმენტაციის უნივერსიტეტში წარმოდგენა ხდება უნივერსიტეტის კანცელარიაში მათი რეგისტრაციის გზით, საკონფერენციო წლის 1 ივნისიდან 1 ივლისამდე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ, დოკუმენტაცია (მოხსენება) სარეგისტრაციოდ აღარ მიიღება. უნივერსიტეტი ვალდებულია საჯაროდ გამოაქვეყნოს კონფერენციაზე მოხსენების მიღების კრიტერიუმები და განცხადება კონფერენციაზე რეგისტრაციის გამოცხადების შესახებ.
4. კონფერენციის ორგანიზებულად და დადგენილი წესით ჩატარების უზრუნველსაყოფად და სხვა აუცილებელი გადაწყვეტილების მისაღებად, რექტორის ბრძანებით იქმნება საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში წევრთა შეყვანის მიზნით არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი ან/და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი საკონფერენციო წლის არაუგვიანეს 24 აპრილამდე წარადგენენ შესაბამისი კომპეტენტური პირების კანდიდატურებს.

5. საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით არაუგვიანეს საკონფერენციო წლის 1 მაისისა. კომიტეტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით. ინფორმაცია კონფერენციის ჩატარების შესახებ რექტორის ბრძანებით საჯაროდ ცხადდება არაუგვიანეს საკონფერენციო წლის 10 მაისისა.
6. კონფერენციის გახსნის დღეს - პლენარულ სხდომაზე ხდება იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართველოლოგიური პრემიის მინიჭება პრემიის ლაურეატ(ებ)ისათვის. ამავე სხდომაზე ხდება პრემირებული ნაშრომის შესახებ მოხსენების საჯარო მოსმენა და გამარჯვებულის (ნაშრომის ავტორის/ავტორების) საზეიმო დაჯილდოება - პრემიის (5 000 ლარის ოდენობით) გადაცემა.

მუხლი 3. პრემიის მინიჭება და პრემირებული პირის დაჯილდოება
1. კონფერენციის დასრულების შემდგომ კონფერენციის მონაწილეებს გადაეცემათ სერტიფიკატი - ,,იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ქართველოლოგიის დარგში სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე". სერტიფიკატის ფორმა მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
2. კონფერენციაზე მოსმენილი მოხსენებები ან მათი ნაწილი შესაძლებელია გამოქვეყნებული იქნას სამეცნიერო კრებულში ,,ქართველოლოგიური ძიებანი". შესაბამისი გადაწყვეტილების არსებობისას, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კრებულის გამოცემას მომდევნო საპრემიო წლის ოქტომბრამდე. გადაწყვეტილება კრებულის გამოქვეყნების შესახებ მიიღება უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს მიერ, უნივერსიტეტის მოქმედ ბიუჯეტში არსებული ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.

მუხლი 4. დებულებაში შესატანი ცვლილებები და დამატებები
წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.